ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის კერძო სკოლა „მზექა“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

01. 03. 2013 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის კერძო სკოლა „მზექა“-ს (შემდგომში სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბელა კაპანაძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნა.

მუხლი 2.

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ, უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებულ მასწავლებელთა პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებას და გადამზადებას;

გ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

ა) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი დაწყებითი განათლების საბაკალავრო, მასწავლებელთა მომზადების მინორ და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკით, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს;

ბ) ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.

2. მხარეები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სკოლის პედაგოგების მეშვეობით, მოამზადებენ ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სრული პროფესორი

მერაბ ბერიძე

ქ.ახალციხის კერძო სკოლა „მზექა"-ს

დირექტორი

ზელა კაპანაძე